

## განმარტებითი ბარათი

### საქართველოს კანონის პროექტზე

#### საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ოპერატიულ-ტექნიკური

#### სააგენტოს შესახებ

##### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

2016 წლის 14 აპრილს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნო ფარული მიყურადების განხორციელების არსებული საკანონმდებლო რეგულაციები. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი დაავალდებულა შეიმუშაოს და მიიღოს ისეთი საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებების სტანდარტებთან.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების სისტემის რეფორმირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული ძირითადი პრინციპების და მითითებების შესაბამისად.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო, რომელიც:

- ისარგებლებს დამოუკიდებლობის ადეკვატური გარანტიებით;
- არ ექნება საგამოძიებო, სადაზვერვო ან კონტრსადაზვერვო ფუნქციები და ამ თვალსაზრისით არ იქნება პროფესიულად დაინტერესებული, მოიპოვოს მეტი ინფორმაცია;
- როგორც დამოუკიდებელი და პროფესიული ინტერესის არ მქონე ორგანო, უზრუნველყოფს ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელებისთვის აუცილებელი ტექნიკური ინფრასტრუქტურის შექმნას, მომსახურებას, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციების შემუშავებას, დამტკიცებას და მათ აღსრულებას;
- როგორც დამოუკიდებელი და პროფესიული ინტერესის არ მქონე ორგანო, უზრუნველყოფს უფლებამოსილი საგამოძიებო, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ფუნქციების მქონე ორგანოების მიერ შესაბამისი საკანონმდებლო პროცედურებით დადგენილი წესით მიმართვის საფუძველზე ფარული საგამოძიებო მოქმედებების,

ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების და სტრატეგიული და ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიებების განხორციელებას.

სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად შეასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებს. დაუშვებელი იქნება სააგენტოს საქმიანობაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების და თანამდებობის პირების უკანონო ჩარევა. კანონით გარანტირებული იქნება სააგენტოს მოსამსახურის დამოუკიდებლობა თავის სამსახურებრივ საქმიანობაში. სააგენტოს ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება ცალკე ორგანიზაციული კოდით. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში სააგენტოსთვის განკუთვნილი ხარჯების შემცირება წინა წლის შესაბამის მოცულობასთან შედარებით შესაძლებელი იქნება მხოლოდ სააგენტოს წინასწარი თანხმობით.

სააგენტო არის სპეციალური დანიშნულების, განსაკუთრებული რეჟიმის სტატუსის მქონე დაწესებულება, რომლის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია: საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და პატივისცემა, კანონიერება; **დამოუკიდებლობა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი**; საქმიანობის ღია და ფარული მეთოდების ერთობლიობა; კონსპირაცია; ერთიანობა და ცენტრალიზაცია.

დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, სააგენტოს უფროსის კანდიდატის შერჩევა განხორციელდება 7 წევრისგან დაკომპლექტებული სპეციალური კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ:

- ა) საქართველო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი - სპეციალური კომისიის თავმჯდომარე;
- ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელსაც კომისიის წევრად დანიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
- გ) საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე;
- დ) საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე;
- ე) საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე;
- ვ) საქართველოს სახალხო დამცველი;
- ზ) საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი შეარჩევს და კომისიას დასამტკიცებლად წარუდგენს სააგენტოს უფროსობის არანაკლებ სამ კანდიდატს. წარდგენილ კანდიდატებს კომისიის სხდომაზე ერთდროულად ეყრებათ კენჭი. კენჭისყრა ფარულია. სპეციალური კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას

ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. დამტკიცებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კომისიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის ხმას თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, განმეორებით ეყრება კენჭი საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. თუ ამჯერადაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ან ვერ გამოვლინდა საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ერთი კვირის ვადაში სპეციალურ კომისიას წარუდგენს სხვა კანდიდატურებს. პროცედურა მეორდება სააგენტოს უფროსის კანდიდატის დამტკიცებამდე. საკონკურსო კომისიის მიერ დამტკიცებულ სააგენტოს უფროსის კანდიდატურას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი დასანიშნად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

სააგენტოს უფროსის თანამდებობა შეუთავსებელი იქნება საჯარო ან კერძო სამსახურში ნებისმიერ თანამდებობასთან. სააგენტოს უფროსს უფლება არა ექნება ახორციელებდეს რაიმე ანაზღაურებად საქმიანობას, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა. სააგენტოს უფროსი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან სხვაგვარად მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსსა და სააგენტოს უფროსს შორის კომპეტენციათა მკაფიო გამიჯვნის მიზნით, დეტალურად რეგულირდება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსისა და სააგენტოს უფროსის უფლებები და მოვალეობები. კერძოდ, სამსახურის უფროსის უფლებამოსილება შემოიფარგლება: საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული სააგენტოს უფროსობის კანდიდატურის წარდგენით; სააგენტოს უფროსის წარდგინებით სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილეების დანიშვნით და ასევე სააგენტოს დებულების დამტკიცებით, რომლითაც განისაზღვრება სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენცია.

თავის მხრივ, სააგენტოს უფროსი:

ა) მოაწესრიგებს სააგენტოს კომპეტენციის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ამ საკანონმდებლო აქტით; აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში სააგენტოს უფროსი დაამტკიცებს იმ ტექნიკურ რეგლამენტებს და ინსტრუქციებს, რომლებიც განსაზღვრავს რეალურ დროში საკომუნიკაციო შეტყობინებების მოპოვების სტაციონარული ტექნიკური შესაძლებლობის არქიტექტურას, ასევე ფარული საგამომიებო მოქმედებების და ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების, ისევე როგორც აღნიშნული ღონისძიებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების, შენახვის, გაცემის და განადგურების წესებს.

გ) გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

დ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილისა და მოადგილეების კანდიდატურებს;

ე) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსს დასამტკიცებლად წარუდგენს სააგენტოს დებულების პროექტს;

ვ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მოსამსახურეებს, მათ შორის, სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს და მათ მოადგილეებს, განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს სააგენტოს სახსრებს და ქონებას;

თ) ქმნის კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს;

ი) წარმოადგენს სააგენტოს საერთაშორისო და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობებში;

კ) მოსამსახურეებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანიჭებს სახელმწიფო სპეციალურ წოდებებს;

ლ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენციის ფარგლებში წაახალისებს და დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს მოსამსახურეებს. შუამდგომლობს სამსახურის უფროსთან სააგენტოს მოსამსახურის სახელმწიფო ჯილდოზე წარსადგენად;

მ) ამტკიცებს სააგენტოს შიდა სტრუქტურასა და სამტატო ნუსხას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნ) სამსახურის უფროსთან შეთანხმებით ამტკიცებს სააგენტოს მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს;

ო) განახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

სააგენტო კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილი ორგანოს მომართვის საფუძველზე, სპეციალური ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ფარული მეთოდებით საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციისა და სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივი მონაცემების მოპოვების მიზნით განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უკავშირდება სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებას და ჩაწერას, კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოპოვებას, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოპოვებას, *გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრას*, საფოსტო სატელეგრაფო გზავნილთა კონტროლს, ფარულ აუდიო ან/და ვიდეო ჩაწერას, ფოტო გადაღებას, *ინდივიდუალურ და სტრატეგიულ მონიტორინგს*.

ამასთან, სააგენტოს ფუნქცია იქნება ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ინფორმაციული უსაფრთხოებისა და სახელმწიფო უწყებებისა და დაწესებულებების საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ ფარული მეთვალყურეობის ღონისძიებებს როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, ისე კოტრდაზვერვითი მიზნებისთვის ემატება გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრა, ასევე ინდივიდუალური და სტრატეგიული მონიტორინგი მხოლოდ კონტრდაზვერვითი მიზნებისთვის. **სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიება** განიმარტება, როგორც სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, ასევე იმ ტერიტორიაზე, სადაც არ ვრცელდება საქართველოს ხელისუფლების იურისდიქცია, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მეშვეობით გადაცემული *სატელეკომუნიკაციო ნაკადის* მონიტორინგი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით. **ინდივიდუალური მონიტორინგის ღონისძიება** კი განიმარტება, როგორც სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მიზნებისთვის საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, კონკრეტული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ტექნიკური იდენტიფიკატორის მეშვეობით ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით გადაცემული *საკომუნიკაციო შეტყობინებების* მონიტორინგი საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, თავდაცვისუნარიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, მართლწესრიგის, სამეცნიერო-ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

მნიშვნელოვნად იცვლება და ფართოვდება სააგენტოს საქმიანობის კონტროლის ინსტიტუციური და ტექნოლოგიური მექანიზმები. კერძოდ, წარმოდგენილ საკანონმდებლო პაკეტში შემავალი „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად სააგენტოს მიერ კონტრდაზვერვითი მიზნებისთვის ფარული მიყურადების, ე.წ. ელექტრონული თვალთვალის განხორციელებისას გათვალისწინებულია კოლტროლის ელექტრონული სისტემა. შემოდის **ზედამხედველი მოსამართლის** ინსტიტუტი, რომელიც გააკონტროლებს და ზედამხედველობას გაუწევს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების აღსრულებას. ზედამხედველი მოსამართლე განისაზღვრება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით და აღნიშნული ფუნქციის განხორციელება დაეკისრება უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს. ღონისძიებების განხორციელებას ზედამხედველი მოსამართლე გააკონტროლებს **კონტროლის ელექტრონული სისტემის** მეშვეობით, ღონისძიების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლის შემოწმებით. სააგენტოს მონიტორინგის სისტემის მიერ ინიცირებული ყველა ბრძანება მიეწოდება ზედამხედველ მოსამართლეს კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მოსამართლე შეამოწმებს ბრძანების ინიცირების სამართლებრივ საფუძვლს და ამავე სისტემის მეშვეობით შესაძლებლობა ექნება შეაჩეროს ღონისძიების აღსრულება, თუ მას არ გაუცია ნებართვა ამ ღონისძიების ჩატარებაზე ან კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარმოდგენილი არ არის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების ელექტრონული ასლი გადაუდებელი წესით ელექტრონული თვალთვალის ღონისძიების განხორციელების შესახებ.

კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ინიცირებულ/განხორციელებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების სამართლებრივ საფუძვლებთან შედარებით. კონტროლის სპეციალური სისტემა უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მიერ ობიექტის ტექნიკური

იდენტიფიკატორის აქტივაციის შესახებ ინიცირებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების კრიპტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით დამუშავებას, მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემის მიერ აღსრულებულ ბრძანებათა ლოგირების მონაცემების ავტომატურ მიწოდებას ზედამხედველი მოსამართლისთვის, ამ მონაცემების კრიპტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით დამუშავებას და მიღებული შედეგების ავტომატურ შედარებას.

მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ზედამხედველი მოსამართლე ასევე უზრუნველყოფს მომხმარებლის და კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლს, რომელთა საფუძველია „კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოთხოვა, მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ბანკში განხორციელებული აქტივობების სამართლებრივი საფუძვლების და შესაბამისი ლოგირების მონაცემების მიწოდებას ზედამხედველი მოსამართლისთვის, მათ გამოიყენას და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის იმ ქმედებების შესახებ მონაცემების გადაგზავნას, რომელთა განხორციელების საფუძველია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლი და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

ზედამხედველი მოსამართლე ასევე უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს სააგენტოს წერილობითი ახსნა-განმარტებები კონტროლის პროცესში გამოვლენილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით და მიღებული ახსნა-განმარტებების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების ინიცირების შესახებ.

ზედამხედველი მოსამართლის ინსტიტუტის შემოღება უზრუნველყოფს ე.წ. **პარალელური წვდომის** აღმოფხვრას, ვინაიდან კანონით ამომწურავად იქნება მითითებული ფარული მიყურადების შემთხვევები და გარანტირებული იქნება ადეკვატური კონტროლის მექანიზმები. შესაბამისად, სრულად იქნება შესრულებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნა პარალელური წვდომის გამორიცხვასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება **ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს**, მათი კონტროლი განხორციელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ ასევე აღნიშნული სისტემების გამოყენებით. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიების - სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადების და ჩაწერის - კონტროლს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი განახორციელებს:

ა) კონტროლის ელექტრონული სისტემით;

ბ) კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

გ) მონაცემთა დამუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების საფუძვლის კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით).

ამგვარად, კონტროლის აღნიშნული სისტემების ძირითადი არქიტექტურის მიხედვით, რომელთა მარეგულირებელ საიდუმლო სამართლებრივ აქტებთან ინსპექტორის

დაშვება კანონით იქნება გარანტირებული, უფლებამოსილი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მიერ გაცემული ბრძანებები და მართლზომიერი მენეჯმენტის სისტემის მიერ აღსრულებული ქმედებების ლოგირების მონაცემები სრულად მიეწოდება **ზედამხედველ მოსამართლეს**, დამუშავდება, გაიმიჯნება და **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორთან** გადაიგზავნება მხოლოდ ის სამართლებრივი საფუძვლები და ლოგირების მონაცემები, რომლებიც ასახავენ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი მუხლის საფუძველზე განხორციელებულ აქტივობებს. შესაბამისად, **ზედამხედველი მოსამართლე კონტროლს გაუწევს ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებებს, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი ფარულ საგამომიებო მოქმედებებს**. ამასთან, ვინაიდან ზედამხედველ მოსამართლეს მიეწოდება სრული ინფორმაციული მასივი, იგი შეძლებს, დაინახოს და გაეცნოს ასევე ფარული საგამომიებო მოქმედებების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს და შესაბამის ლოგირების მონაცემებს, თუმცა, კონტროლის მიზნებისთვის შემოიფარგლება მხოლოდ ელექტრონული თვალთვალის ღონისძიებების განხორციელების კონტროლით და კონტროლის ფარგლებში მისი შეჩერების შესაძლებლობით.

კავშირგაბმულობის არხიდან/კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის **მოხსნისა და ფიქსაციის** ფარული საგამომიებო მოქმედების განხორციელებას ინსპექტორი გააკონტროლებს მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების საფუძვლის კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით), რომლის ფარგლებშიც მას უფლება ექნება, შევიდეს სააგენტოს შეზღუდული დაშვების არეალებში და **მიმდინარე რეჟიმში დააკვირდეს** უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქმიანობის განხორციელებას; **გაეცნოს** სააგენტოს საქმიანობის მარეგულირებელ, მათ შორის სახელმწიფო **საიდუმლოების შემცველ სამართლებრივ დოკუმენტებს და ტექნიკურ ინსტრუქციებს**; **მიიღოს ინფორმაცია** ფარული საგამომიებო მოქმედებების მიზნებისთვის გამოყენებული **ტექნიკური ინფრასტრუქტურის შესახებ და განახორციელოს აღნიშნული ინფრასტრუქტურის შემოწმება**; მოითხოვოს ახსნა-განმარტებები სააგენტოს ოფიციალური პირებისგან ინსპექტირების პროცესში გამოვლენილ ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით.

**მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების** კონტროლს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი განახორციელებს მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის მეშვეობით, ასევე მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებით (ინსპექტირებით).

წარმოდგენილი კანონით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის გარდა, სააგენტოს საქმიანობაზე, ასევე, გათვალისწინებულია საპარლამენტო, პრემიერ-მინისტრის, სასამართლო და საფინანსო-საბიუჯეტო კონტროლი.

სააგენტოს საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს პარლამენტი საპარლამენტო კონტროლის ფორმების გამოყენებით, ხოლო იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ამ კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობასთან - საპარლამენტო კონტროლი ხორციელდება საქართველოს პარლამენტის ნდობის ჯგუფის მეშვეობით. სააგენტო ყოველწლიურად წარუდგენს ნდობის ჯგუფს სტატისტიკურ და გაწეული საქმიანობის განზოგადებულ

ანგარიშს.

სააგენტო ასევე ანგარიშვლადებული იქნება პრემიერ-მინისტრის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს სტატისტიკურ და განზოგადებულ ანგარიშს მის მიერ წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ.

წარმოდგენილი კანონპროექტით იცვლება *მომხმარებლის და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ვადები*, რითაც ზედმიწევნით სრულდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნა, რომ ასეთი მონაცემების შენახვა განხორციელდეს გამოძიების ფუნქციისგან დისტანცირებული, ამ თვალსაზრისით პროფესიულად არდაინტერესებული, ამასთან, დამოუკიდებლობის მყარი და საკმარისი გარანტიებით აღჭურვილი და ეფექტურად კონტროლირებადი ორგანოს მიერ 2 წელზე ნაკლები ვადით შენახვა. წარმოდგენილი პროექტით სააგენტო უფლებამოსილი იქნება მომხმარებლის და სატელეფონო კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება მოახდინოს არაუმეტეს 12 თვის ვადით, ინტერნეტ-კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება კი - არაუმეტეს 6 თვის ვადით. ამასთან, კანონით განისაზღვრება კოპირებისთვის კანონით გათვალისწინებული ვადის 3 თვის ვადით გაგრძელების შესაძლებლობა საქართველოს მთავარი პროკურორის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიმართვის საფუძველზე უზენაესი სასამართლოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მოსამართლის განჩინებით. მეტაინფორმაციის შენახვის 12-თვიან ვადას ითვალისწინებს შვედეთისა და ესტონეთის კანონმდებლობებიც. ასევე ყურადსაღებია ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2016 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, სადაც მიეთითა, რომ „მონაცემთა შენახვა მიზანმიმართულად მძიმე დანაშაულთან საბრძოლველად და მკაფიოდ გაწერილი - თუ რა კატეგორიის მონაცემები უნდა იქნეს შენახული და რა ვადით, კონკრეტულად ვის და კომუნიკაციის რომელ საშუალებებს შეეხება ეს - არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებს.“.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია სააგენტოს მიერ ისეთი ელექტრონული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს სსიპ „112“-ში განხორციელებული შეტყობინების ინიციატორი საკომუნიკაციო აღჭურვილობის მომხმარებლის შესახებ მონაცემების ავტომატურ მიწოდებას სსიპ „112“-სთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „სასამართლო კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“-ის სამსახურის მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე წვდომის აუცილებლობას . . ბუნებრივია, რომ სამაშველო სამსახურს უნდა ჰქონდეს ასეთ ინფორმაციაზე ეფექტური და დროული ხელმისაწვდომობა“. თუმცა, ვიდრე აღნიშნული სისტემის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა მოხდება, კანონპროექტი ითვალისწინებს სსიპ "112"-ში განხორციელებული შეტყობინების ინიციატორი საკომუნიკაციო აღჭურვილობის მომხმარებლის და მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სააგენტოს მომხმარებლის და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ცენტრალური ბანკიდან.



სააგენტო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ კანონის შესაბამისად ავტორიზებულ პირებს ნორმატიული აქტებით და სახელმძღვანელო მითითებებით განუსაზღვრავს მოთხოვნებს და ვალდებულებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას.

აღნიშნული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს ავტორიზებული პირების **დაჯარიმებას** კანონით დადგენილი წესით. ავტორიზებული პირის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიზნით, **სააგენტოს უფროსს** უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ავტორიზებული პირის საინფორმაციო-ტექნოლოგიური და **სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის აუდიტის** ჩატარების შესახებ.

სააგენტოს წარმომადგენელი - აუდიტორი უფლებამოსილია შეამოწმოს შემოწმების საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები მათი განთავსების ადგილზე, გადაიღოს დოკუმენტების ასლები, სპეციალური ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით შეამოწმოს ავტორიზებული პირის **აპარატურული ან/და ქსელური ინფრასტრუქტურა**, მოსთხოვოს ავტორიზებული პირის წარმომადგენლებს ინფორმაცია და ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები შესამოწმებელ საკითხთან დაკავშირებით.

თუკი აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ დამრღვევი პირის ქმედება შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული დანაშაულის ნიშნებს, სააგენტო აუდიტის მასალებს დაუყოვნებლივ წარუდგენს საგამომიებო ორგანოს და კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას შესაბამისი რეაგირებისთვის.

სააგენტო უფლებამოსილია მითითებული მოთხოვნების და ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ავტორიზებული პირი წერილობით **გააფრთხილოს**, ხოლო დენადი ხასიათის დარღვევის სააგენტოს უფროსის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობისთვის ან 1 წლის განმავლობაში ახალი ერთჯერადი ხასიათის დარღვევის ჩადენის შემთხვევაში, **დაჯარიმოს** კანონით განსაზღვრული ოდენობით.

დამრღვევის მიერ ჯარიმის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას უზრუნველყოფს აღსრულების ეროვნული ბიურო სააგენტოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

პროექტი ითვალისწინებს გარდამავალ დებულებებს, რომელშიც ამომწურავად არის მითითებული კონკრეტული ვადები, რომელთა დაცვითაც სხვადასხვა უწყებებმა და თანამდებობის პირებმა უნდა უზრუნველყონ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება, რათა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულ ვადაში მოხდეს მისი აღსრულება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედება.

## **ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

ამ კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი და ასევე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთარი შემოსავლები.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შექმნა, რომელსაც უფლება ექნება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში დამრღვევთა მიმართ გამოიყენოს ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები. ამ პროექტით გათვალისწინებულია სანქციები ფულადი ჯარიმების სახით, აგრეთვე, გათვალისწინებულია ლიცენზიების მოსაკრებლის შემოღება.

ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გავლენას იქონიებს ამ კანონპროექტით გათვალისწინებული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი.

კანონპროექტის მიღებას გავლენა ექნება ასევე სააგენტოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო მიიღებს შემოსავალს ხელშეკრულებების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან, ასევე სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევისათვის დადგენილ საფასურს და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა შემოსავლებს.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილის ცვლილებას. კანონპროექტით გათვალისწინებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შექმნა. ნაწილობრივ სააგენტო დაფინანსდება საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის დამტკიცებული ასიგნებებიდან. 2017 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას გამოიწვევს სააგენტოში ახალი ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა; სულ დაახლოებით 500 000 ლარის ოდენობით და დაახლოებით 40 ახალი სამტატო ერთეულით.

2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას გამოიწვევს სააგენტოში ახალი ადმინისტრაციული ერთეულების უზრუნველყოფა (800 000 ლარი); გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის (15 000 000 ლარი) და სტრატეგიული მონიტორინგის ღონისძიების ტექნიკური და პროგრამული საშუალებების შექმნა (3 000 000 ლარი); ახალი ადმინისტრაციული შენობა, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა (15 000 000 ლარი).

2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას გამოიწვევს სააგენტოში ახალი ადმინისტრაციული ერთეულების უზრუნველყოფა; ახალი

ადმინისტრაციული შენობის ექსპლოატაცია; სულ დაახლოებით 1 300 000 ლარი, რომელსაც დამატება გეოლოკაციის რეალურ დროში განსაზღვრის ტექნიკური და პროგრამული საშუალებების ექსპლოატაციის ხარჯები.

აგრეთვე, ამ კანონპროექტით გათვალისწინებული კონტროლის სპეციალური ელექტრონული სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოსთვის გამოიწვევს ხარჯების გაზრდას დაახლოებით 260 000 ლარის ოდენობით და დაახლოებით 5 ახალ სამტატო ერთეულით 2017 წელში. ხოლო, მომდევნო წლებში მისი ექსპლოატაციის ხარჯები შეადგენს ყოველწლიურად დაახლოებით 100 000 ლარს (5 სამტატო ერთეულის ხელფასი). აღნიშნული სისტემის გამართვაზე პასუხისმგებელია სააგენტო.

ამ კანონპროექტით დამატებითი ვალდებულებები ესაზღვრებათ სხვა მხარჯავ დაწესებულებებს, რაც დამატებით საბიუჯეტო ხარჯებს არ გამოიწვევს.

#### **ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

კანონპროექტის მიღებას ფინანსური შედეგები ექნება იმ პირებზე, რომლებიც არ შეასრულებენ სააგენტოს მიერ დადგენილ სტანდარტებს სატელეკომუნიკაციო სფეროში და მოუწევთ შესაბამისი ჯარიმების გადახდა.

კანონპროექტის მიღებას ფინანსური შედეგები ექნება იმ პირებზე, რომლებიც ისარგებლებენ სააგენტოს მომსახურებით და მათ მოუწევთ შესაბამისი საფასურის გადახდა.

კანონპროექტის მიღებას ფინანსური შედეგები ექნება იმ პირებზე, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან ამ კანონპროექტით გათვალისწინებული ლიცენზიის აღებით.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:**

კანონპროექტი ითვალისწინებს ჯარიმის დაწესებას, რომელიც დიფერენცირებულია დარღვევის სიმძიმის მიხედვით.

კანონპროექტი ითვალისწინებს სააგენტოს მომსახურების საფასურის დაწესებას, სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევისთვის საფასურის განაკვეთები, ასევე საფასურის გადახდის, მისი გადახდისგან განთავისუფლების და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესი და პირობები განისაზღვრება სააგენტოს ნორმატიული აქტით.

კანონპროექტის მიხედვით სააგენტო უფლებამოსილი ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცეს ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგის სისტემების დამზადების, იმპორტის ან ექსპორტის ლიცენზია და ამ მიზნით სააგენტოს ნორმატიული აქტით განსაზღვროს ლიცენზიის მოპოვების წესი და პირობები; ლიცენზიის ოდენობა „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონის თანახმად განისაზღვრება 200 ლარით.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის დირექტივებთან.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

საკანონმდებლო პაკეტის მომზადების მიზნით იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები, აგრეთვე არასამართლო ორგანიზაციების წარმომადგენლები. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ფორმატში გაიმართა არაერთი შეხვედრა, რომელზეც ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს შექმნის, ფუნქციონირების და სხვა ამ სააგენტოს ამოქმედებასთან დაკავშირებულ სხვა პრინციპულ საკითხებზე გაიმართა მსჯელობა.

კანონპროექტის მომზადებისას ჩატარდა საფუძვლიანი კვლევა როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის, ასევე საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის მიერ იმასთან დაკავშირებით, თუ რა ფორმით და სტატუსით ფუნქციონირებს ფარული საგამომიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანო სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში. აღნიშნული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ გერმანიაში ფარული მიყურადების განხორციელების უფლება აქვს - ფედერალური დაზვერვის სამსახურს; ინგლისში - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს; აშშ-ში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, საფრანგეთში - უსაფრთხოების სპეციალური სამსახურს; ესტონეთში - სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტების შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**ე) კანონპროექტის ავტორი:**

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: ეკა ბესელია, არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, ირაკლი სესიაშვილი, გიორგი ვოლსკი, სოფიო კილაძე, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, ზვიად კვაჭანტირაძე, გედევან ფოფხაძე, გიორგი ხატიძე, ივლიანე წულაია, ლევან გოგიჩაიშვილი, გურამ მაჭარაშვილი.

**ვ) კანონპროექტის ინიციატორი:**

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: ეკა ბესელია, არჩილ თალაკვაძე, მამუკა მდინარაძე, ირაკლი სესიაშვილი, გიორგი ვოლსკი, სოფიო კილაძე, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, ზვიად კვაჭანტირაძე, გედევან ფოფხაძე, გიორგი ხატიძე, ივლიანე წულაია, ლევან გოგიჩაიშვილი, გურამ მაჭარაშვილი.